

არსებობს თუ არა კავშირი გარემოსდაცვით ცოდნასა და
გარემოსდაცვით ქცევას შორის

ნინო იაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმდგენელი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ ხომ ნაშრომი წაროდგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარსადგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო იაშვილი

22.06.2018

სარჩევი

შესავალი.....	1
ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
გარემოსდაცვითი ცოდნა.....	4
გარემოსდაცვითი ქცევა.....	6
გარემოსდაცვითი ქცევის სფეროები.....	8
მეთოდი.....	16
ინსტრუმენტი.....	17
შერჩევა.....	18
შედეგები.....	19
კვლევის შეზღუდვები.....	21
რეკომენდაციები.....	22
გამოყენებული ლიტერატურა.....	25
დანართი 1.....	28
დანართი 2.....	36

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს გასცეს ისეთ შეკითხვაზე პასუხი, როგორცაა გარემოსდაცვით ცოდნასა და გარემოსდაცვით ქცევას შორის კავშირი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში გარემოსდაცვითი ქცევა ძალზედ აქტუალური გახდა საზოგადოებისთვის, რადგან სამედიცინო ხაზის კვლევები სწორეთ გარემოს დაბინძურების ფატალურ შედეგებზე საუბრობს და მსოფლიოს ყურადრება გარემოსდაცვაზე მიმართული. თავის მხრივ გარემოსდაცვითი, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები იწყებენ ფიქრს და მოქმედებას, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებამ განავითაროს ტექნოლოგიებისე რომ არ იმსხვერპლოს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 132 ცდის პირმა, საშუალო ასაკი 29 წელი, რომელთა საქმიანობა ან განათლება არ უკავშირდება გარემოსდაცვას. კვლევის მონაწილეებს მიეწოდათ ორი: გარემოსდაცვით ცოდნის (გარემოსდაცვითი ცოდნის ტიპების სკალა) და გარემოსდაცვით ქცევის (ზოგადი გარემოსდაცვითი ქცევის სკალა 2012 წლის ვერსია (General ecological behavior (GEB) scale) კითხვარი. კვლევის შედეგების თანახმად გარემოსდაცვითი ცოდნა შეგვიძლია მივიჩნიოთ გარემოსდაცვით ქცევის პრედიქტორად. ასევე განსხვავება სქესთა შორის გამოვლინდა კერძოდ, ქალები უფრო მაღალ განათლებას ავლენენ გარემოსდაცვით ცოდნის მხრივ ვიდრე მამაკაცები, რომელიც თავის მხრივ რამოდენიმე ახსნა შეიძლება ქონდეს: ქართულ საზოგადოებაში ქალის როლი აღქმულია როგორ ოჯახის დიასახლისი რომლის უფლება-მოვალეობებში ბავშვობიდანვე ოჯახის, ეზოს დაცვა/მოვლაა.

საკვანძო სიტყვები: გარემოსდაცვითი ცოდნა, გარემოსდაცვითი ქცევა, პრო-სოციალური ქცევა, ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლება.

Abstract

The main objective of this research is to answer the question, such as relation between environmental education and ecological behavior. Within the last decade, ecological behavior has become one of the most important issue for the human society, as medical line researches are revealing fatal results of pollution and environmental protection is under the worldwide spotlight.

On the other hand, as governmental, as well as non-governmental organisations has started acting accordingly and consider, - how can human society develop technologies so, that it would not sacrifice millions of lives.

132 experimental subject has participated in the research. Medium age was 29 year and their profession or education was not related to environmental protection. The research participants were given two: Environmental education (Environmental education types scale) and ecological behavior (General ecological behavior (GEB) scale, 2012 version) questionnaires. Pursuant to research results, environmental education can be considered as a predictor of ecological behavior. Besides, the research has revealed difference according to gender, precisely women have shown higher level of education in environmental education, than men. This phenomenon can be explained with several options: 1. The role of women in Georgian society is depicted as housewife, whose obligations are deemed to be housekeeping, protection of family and garden. 2. The maternal instinct, which is oriented on an offspring protection.

Kay Words: environmental education, environmental behavior, pro-social behavior, formal and informal environmental education.